ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად გამოაცხადა ეთნიკური ოსების მიერ საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი 1500-ზე მეტი განაცხადი

სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ ეთნიკური ოსების მიერ შეტანილი 1500-ზე მეტი განაცხადი წარმოებაში არ მიიღო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილების საფუძველი გახდა საქართველოს მთავრობისთვის მოწოდებული ეთნიკური ოსების 5 განაცხადი, რომელთა ინტერესებსაც ევროპული სასამართლოს წინაშე იცავდნენ ადვოკატები ვლადიკავკაზიდან (რუსეთის ფედერაცია).

აპლიკანტები არიან სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლები, მსახურობდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონში, რომელიც განთავსებული იყო ცხინვალში საქმის განხილვის დროს. საქმეთა კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, აპლიკანტები მიუთითებდნენ ადამიანის უფლებათა ვეროპული კონვენციის და მისი დამატებითი ოქმების მოთხოვნათა დარღვევაზე. კერძოდ: კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება), მე-3 მუხლის (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-8 მუხლის (პიდადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), მე-13 მუხლის (ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი) და მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევაზე. ასევე, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევაზე.

აღნიშნულ საქმეებზე საქართველოს მთავრობამ წარადგინა საკუთარი არგუმენტები, განმცხადებლებმა კი ქართული მხარის პოზიციაზე სტრასბურგის სასამართლოში არ გაგზავნეს შეპასუხება, რასაც შედეგად მოჰყვა სასამართლოს მიერ 1549 განაცხადის განსახილველ საქმეთა სიიდან ამოღება.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ: www.coe.int